

**დამტკიცებულია სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის
16 აპრილის №24/17 დადგენილებით**

**თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 07 მაისის №24/5 დადგენილებით
დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის
ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ
დებულებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე:

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თსსუ-ის აკადემიური საბჭოს 2012 წლის 07 მაისის №24/5 დადგენილებით დამტკიცებული „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტურის შესახებ დებულებაში“, დაემატოს 6¹ მუხლი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6¹. სპეციალიზებული საკონსულტაციო კომისია

1. სადოქტორო კვლევის პროგრამა, თანმხლებ დოკუმენტებთან ერთად, მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს და მედიცინის და სტომატოლოგიის საერთაშორისო ფაკულტეტის საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე განხილვამდე, თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ, განსახილველად გადაეცემა სპეციალიზებულ საკონსულტაციო კომისიას, რომელსაც ხელმძღვანელობს ვიცე-რექტორი სამეცნიერო მიმართულებით. კომისია შედგება მუდმივი და ცვლადი წევრებისაგან. ცვლადი წევრების შერჩევა განხორციელდება განსახილველი სადოქტორო კვლევების თემატიკის შესაბამისად. საკონსულტაციო კომისიის მუდმივი წევრები განისაზღვრება რექტორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. სპეციალიზებული საკონსულტაციო კომისიის ცვლადი წევრების შერჩევას განახორციელებს ვიცე-რექტორი სამეცნიერო მიმართულებით რექტორის მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს დამტკიცებისთანავე.